

შპს „სითი ჰოთელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

შპს „სითი ჰოთელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2. საქმიანობის შედეგები, შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება.	4
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5
4. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.	6
5. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	7-12
6. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	13-18

შპს „სითი ჰოთელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	58466	57608
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	64883	73385
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	22782	18386
მარაგები		121470	139703
მზა პროდუქცია			0
სხვა	4	121470	139703
სხვა მოკლევადიანი აქტივები			0
სხვა არამატერიალური აქტივები	5	23714	30517
ძირითადი საშუალებები	6	21213	39203
სხვა გრძელვადიანი აქტივები			0
სულ აქტივები		312528	358802
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	8	1223873	0
სავაჭრო ვალდებულებები	7	6645	16461
ანარიცხები			0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			0
საგადასახადო ვალდებულებები		35299	7667
გამოუმუშავებელი შემოსავალი			0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		313632	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			8603
სხვა ვალდებულებები			1174520
სულ ვალდებულებები		1579449	1207251
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-1266923	-848449
სულ საკუთარი კაპიტალი		-1266923	-848449
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		312528	358802
სულ მოკლევადიანი აქტივები		267601	289082
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1579449	1198648

დირექტორი:

/ნინო ნებიერიძე/

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სიტი ჰოტელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ნეტო ამონაგები		439529	3045430
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან	1	428300	3045430
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა	1	11229	0
გაყიდვების თვითღირებულება		-75028	-441861
საერთო მოგება		364501	3045430
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება		-527834	-1007289
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-24985	-25842
საპროცენტო შემოსავალი			-
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	2	-66127	-1510635
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3	-189989	-925720
სულ საოპერაციო ხარჯები		-808935	-3469486
საოპერაციო მოგება		-444434	-424056
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		25960	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე			
განგრძობითი ოპერაციებიდან		-418474	-424056
მოგების გადასახადის ხარჯი			0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		-418474	-424056
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		-418474	-424056
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-848449	-424393
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		-1 266 923	-848449

დირექტორი:

/ნინო ნებიერიძე/

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „სიტი ჰოტელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2020	31.12.2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	858	7696
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	858	7696
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	57608	49912
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	58466	57608

დირექტორი:



/ნინო ნებიერიძე/

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

შ.პ.ს. “სითი ჰოთელზ“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2015 წლის 12 დეკემბერს.

კომპანიის დამფუძნებელი: მეჰმეთ თალი პ.ნ. 01097001402 100% წილი.

29/10/2019-დან 23/01/2019-მდე იყო მეჭმეთ თაღი. პ.ნ. 01097001402

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირი, #140 -ის მიმდებარე ტერიტორია.

საქართველოს მასშტაბით, (კერძოდ თბილისში), კომპანიის დაქვემდებარებაშია 2 მოქმედი სასტუმრო, სახელწოდებით : City Avenue (34 ნომრიანი) და City Center (84 ნომრიანი) აღნიშნული სასტუმროები არის იჯარით აღებული.

საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და არ ევალება აუდიტის ჩატარება.

არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

შპს „სითი ჰოტელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

5. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

5.1 მომზადების საფუძველი:

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2020 კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა.

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ

ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2020 წ. 31 დეკემბერს:	3.2766	4.0234
გაცვლითი კურსი 2019 წ. 31 დეკემბერს:	2,8677	3,0295



შპს „სითი ჰოთელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

5.3 სტანდარტზე გადასვლა

კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

5.4 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია მსს ფასის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში.

5.5 საქმიანობის უწყვეტობა (ფუნქციონირებადი საწარმო)

კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და მიმდინარე გეგმები.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID-19 პანდემია. პანდემიის გავრცელების შემცირების მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდატის საათი, საერთაშორისო ფრენები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნულმა ზომებმა შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, როგორც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ისე კომენდატის საათის განმავლობაში.



კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად, კომპანიაში საოპერაციო საქმიანობა მიმდინარეობდა ყველა რეგულაციების დაცვით. არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგისგან.

შპს „სითი ჰოთელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

5.6 სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

5.7 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს იხდის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისთვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

5.8 განხორციელებული ინვესტიციები

კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

5.9 დივიდენდები

გაცემული დივიდენდები კლასიფიცირებულია როგორც ფინანსური ოპერაციები.

5.10 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით (თვითღირებულებით)

თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ბალანსში აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.



შპს „სითი ჰოთელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

5.11 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია :

არამატერიალური აქტივები	3-10 წელი.
-------------------------	------------

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

5.12 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღეს-გარეშე.

5.13 ხარჯის აღიარება

ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გაწევა, ანუ დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

შპს „სიტი ჰოთელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

5.14 საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს მისი საქმიანობის შესაბამისად არსებული კანონმდებლობის საფუძველზე. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრული მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებზე.

5.15 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

5.16 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო/ მომსახურების გაწევა ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

5.17 სავაჭრო ვალდებულებები



სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

შპს „სითი ჰოთელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

5.18 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

5.19 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი დაკავშირებულია გაყიდვებთან. საგადასახადო ორგანოებისათვის აღნიშნული გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას:

1. მომხმარებლისგან მისაწოდებელი საქონლის ან მომსახურების გაწევამდე მიღებული ავანსი, ან
2. საქონლის ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლისათვის.

5.20 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები



ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

5.21 ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ.

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

შპს „სიტი ჰოტელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფულადი სახსრები

შენიშვნა 1

დასახელება	2020 წ.	2019 წ.
ნაღდი ფული სალაროში	22	4013
ფულადი სახსრები საბანკო	58444	53595
ანგარიშებზე		
სულ:	58466	57608

კომპანიას საბანკო ანგარიშები (მიმდინარე- ლარში და სავალუტო) გახსნილი აქვს სს თიბისი ბანკში, სს საქართველოს ბანკში, სს იმ ბანკი საქართველოში. არარეზიდენტ ბანკებში კომპანიას ანგარიშები არ აქვს.

სავაჭრო მოთხოვნები



დასახელება	2020 წ.	2019 წ.
მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან:	64883	73385
სულ მოთხოვნები:	64883	73385

კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან, სასტუმრო მომსახურებიდან.

შპს „სითი ჰოტელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

გადახდილი ავანსები

შენიშვნა 3

დასახელება	2020 წ.	2019 წ.
საკასო აპარატების მომსახურების	68	68
თელასის ანგარიშზე დეპოზიტი	18318	18318
სულ გადახდილი ავანსები:	18386	18386

სასაქონლო მატერიალური მარაგები

შენიშვნა 4

დასახელება	2020 წ.	2019 წ.
პროდუქციის მარაგები	13375	32622
ქიმიური საშუალებები	25683	31246



სხვა მარაგები	82412	75838
სულ მარაგები:	121470	139706

აღნიშნული მარაგები მოიცავს იმ მარაგებს, რაც საჭიროა კომპანიის მუშაობისთვის.

სხვა მარაგებში გაერთიანებულია საწვავი და მცირეფასიანი სამეურნეო მარაგები.

შპს „სითი ჰოტელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

არამატერიალური აქტივი

შენიშვნა 5

დასახელება	2020		2019	
	ისტორიული ღირებულება	დაგროვილი ამორტიზაცია	ისტორიული ღირებულება	დაგროვილი ამორტიზაცია
პროგრამები ორისი, სუფრა	5989	2535	5989	1970
ვებ საიტი	6081	1670	6081	1217
ლიცენზია	34195	20518		
სხვა არამატერიალური აქტივები	7894	5722		
ლიცენზია, სხვა არამატ. აქტივი			42088	20454
ჯამი	54159	30445	54158	23640



სულ არამატერიალური აქტივი	23714	31056
---------------------------------	-------	-------

ძირითადი საშუალებები

დასახელება	2020 წელი		2019 წელი	
	ისტორიული ღირებულება	დაგროვილი ცვეთა	ისტორიული ღირებულება	დაგროვილი ცვეთა
ოფისის აღჭურვილობა	28240	20657	28048	15335
ავეჯი და სხვა ინვენტარი	69905	56274	69905	43415
სულ:	98145	76931	97953	58750
სულ ძირითადი საშუალებები:	21214		39203	

შპს „სითი ჰოთელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	2020 წელი	2019 წელი
სავაჭრო ვალდებულებები	6645	24128
მომსახურებისგან წარმოქმნილი ვალდებულებები	1223873	
სხვა ვალდებულებები	35299	1174521



სასესხო ვალდებულება	313632	
სულ ვალდებულებები:	1579449	1198649

კომპანიის ვალდებულებები წარმოშობილია ძირითადი საქმიანობიდან, მომწოდებლებისგან მიღებული სხვადასხვა საჭირო პროდუქტები და მიღებული მომსახურებები.

საქმიანობის შედეგების, შემოსავლებისა და ხარჯების, მოგება-ზარალის ანგარიშგების ახსნა-განმარტება.

ამონაგები

დასახელება	თანხა ლარი
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	428300
მომსახურება კომპენსაციის გარეშე	11229
ნეტო ამონაგები:	439529

ამონაგები მომსახურების გაწევიდან ფორმირებულია სასტუმროს მომსახურებასთან და მასთან დაკავშირებულ სერვისებზე.

შპს „სითი ჰოტელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

იჯარა

შენიშვნა 2

დასახელება	თანხა ლარი
საიჯარო ქირა	66127
სულ:	66127

ორი სასტუმროს („სითი ავენიუ“ და „სითი ცენტრი“) დარიცხული საიჯარო ქირა.



ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები:

შენიშვნა 3

დასახელება	თანხა ლარი
კომუნალური ხარჯი	64187
ბანკის მომსახურების ხარჯი	3825
საოფისე ხარჯი	7848
კომუნიკაციის ხარჯი	11503
სარეკლამო ხარჯი	26477
მომსახურების ხარჯი	48862
წარმომადგენლობითი ხარჯი	4008
სხვა საერთო ხარჯი	1119
საწვავის ხარჯი	2780
იჯარით აღებული შენობის რემონტი	19380
სულ:	189989

შპს „სითი ჰოტელზ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

ფულადი სახსრების მოძრაობის ახსნა-განმარტება

ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	57608
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან შემოსული თანხები	579363
სესხის სახით მიღებული ფულადი სახსრები	313845
სესხის დაბრუნება	-8815,95
გასავალი საქონლის შეძენაზე	-35218,2
საოპერაციო ხარჯები:	
სახელფასო	-364802,67
იჯარა	-28677,1



კომუნალური	-87785,5
საბანკო მომსახურების	-3824,7
სარეკლამო	-31053
სხვადასხვა მომსახურება	-83642,98
რემონტი	-3400
სხვა ხარჯი	-135471
გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები	-109859
სულ გაცემული თანხები	-892350
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	58466

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირის კომპენსაცია:

დასახელება	2020 წელი	2019 წელი
შრომის ანაზღაურება	29778	140616



შპს „სიტი პოტელ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404504979

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს შესაძლებლობას. ამ ანალიზში მენეჯმენტმა განიხილა ყველა რისკი, მათ შორის ლიკვიდურობის, სავალუტო რისკების და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ საანგარიშო თარიღისთვის კომპანიის საქმიანობა საფრთხეს არ ემუქრება და მათ არ აქვთ გეგმები კომპანიის ლიკვიდაციისთვის ან მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვისთვის.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია 2021 წლის 25 სექტემბერს და ნებადართულია გამოსაცემად.

კომპანიის დირექტორი:



/ ნინო ნებიერიძე /

მთავარი ბუღალტერი:



/ მაგდა ბოჭორიშვილი /

